აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

„წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა“

2020 წლის I ეტაპი

სამიზნე ჯგუფებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები წარმოადგენენ, კერძოდ: ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტები; ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (ბაკალავრები, მაგისტრანტები) სტუდენტები; ავტორიზებული სამედიცინო/სტომატოლიგიური დაწესებულებების რეზიდენტები.

განმცხადებელს მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

- განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- დევნილის მოწმობის ასლი;
- ცნობა სასწავლებლიდან, რომ არის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი/რეზიდენტი;
- რეკომენდაცია/დახასიათება სასწავლებლიდან;
- სასწავლო ბარათი (კომისია იხელმძღვანელებს ბოლო სემესტრის მონაცემებით);
- წარმატებულობისა და განსაკუთრებული მიღწევების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტაციის სერტიფიკატები, სიგელები (არსებობის შემთხვევაში);
- ინვოისი (ცნობა პირის მიერ სასწავლებლისათვის გადასახდელი სწავლის წლიური საფასურის ოდენობის თაობაზე, სადაც მიეთითება განცხადების შემოტანის მომენტისათვის სასწავლებლისთვის დარჩენილი გადასახდელი თანხის ოდენობა).

თანადაფინანსება განსაზღვრულია შემდეგ სახით:

1. 500 ლარის ოდენობით - ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ბაკალავრები, მაგისტრანტები) სტუდენტებისა და ავტორიზებული სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების რეზიდენტების შემთხვევაში (ბაკალავრების, მაგისტრანტების აკადემიური მოსწრება სასწავლებელში ბოლო სემესტრში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით 80%-დან 90%-მდე; სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების რეზიდენტები დაფინანსებას მოიპოვებენ ერთიანი დიპლომის შემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მოპოვებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით 80%-დან 90%-მდე);

2. 700 ლარის ოდენობით - ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ბაკალავრები, მაგისტრანტები) სტუდენტებისა და ავტორიზებული სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების რეზიდენტების შემთხვევაში (ბაკალავრების, მაგისტრანტების აკადემიური მოსწრება სასწავლებელში ბოლო სემესტრში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით 90%-დან და 99%-მდე; სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების რეზიდენტები დაფინანსებას მოიპოვებენ ერთიანი დიპლომის შემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მოპოვებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით 90%-დან და 99%-მდე);

3. 2250 ლარის ოდენობით - ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ბაკალავრები, მაგისტრანტები) სტუდენტებისა და ავტორიზებული სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების რეზიდენტების შემთხვევაში (აკადემიური მოსწრება სასწავლებელში ბოლო სემესტრში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით 99-100%; სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების რეზიდენტები დაფინანსებას მოიპოვებენ ერთიანი დიპლომის შემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მოპოვებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით 99-100%);

4. 300 ლარის ოდენობით - ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში;

სრული სასწავლო პერიოდის განმავლობაში (სწავლების ყველა საფეხურის გათვალისწინებით) პროგრამის ფარგლებში ერთი და იგივე პიროვნება ფინანსდება მხოლოდ 2-ჯერ (აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება რეზიდენტურის სტუდენტებზე. რეზიდენტურაში სწავლება ფინანსდება მხოლოდ ერთხელ, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტი პირველად სარგებლობს წარმოდგენილი პროგრამით). ასევე, ერთი და იგივე პიროვნება არ დაფინანსდება 2-ჯერ ერთი კალენდარული წლის განმავლობაში.

მოქალაქეთა განცხადებები მიიღება 4 ეტაპად. პირველი ეტაპის საბუთების მიღება 1 თებერვალს დაიწყება და 29 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება.

თითოეულ ეტაპზე, შემოსული განცხადებების განხილვისას, დასაფინანსებლად პრიორიტეტი მიენიჭება უფრო მაღალი შეფასების (აკადემიური მოსწრების ფურცლის მიხედვით) მქონე სტუდენტებს, ხოლო თანაბარი შეფასების შემთხვევაში მათ, ვინც მეტად წარმატებულია, რაც დასტურდება სერთიფიკატების, სიგელებისა და დიპლომების წარდგენით.

ინფორმაციისთვის დარეკეთ ნომრებზე: +995 595 343 320; +995 577 092 239.

განცხადებების მიიღება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში, მისამართი: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №68.